თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისიის

რეკომენდაციები

(2015 წლის 2 ნოემბერი)

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებული უწყებათაშორისი კომისია თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის

აცხადებს, რომ აკისრია პასუხისმგებლობა, ხელი შეუწყოს 2015 წლის შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებული პროცესების გამჭვირვალობას და,

არჩევნებამდე და არჩევნების დღეს წამოჭრილი კითხვებიდან გამომდინარე,

რეკომენდაციით მიმართავს:

1. **საქართველოს თავდაცვის სამინისტროს:**

უხელმძღვანელოს სამუშაო ჯგუფს, რომელიც შეიმუშავებს საკანონმდებლო წინადადებებს სპეციალური უბნების შექმნასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ნორმების გაუმჯობესების მიზნით, რათა, სხვებს შორის, გაიზარდოს იმ უწყებათა გადაწყვეტილებების გამჭვირვალობის ხარისხი, რომელთა ბაზებიც არჩევნების დროს მოითხოვს სპეციალური სიების შექმნის აუცილებლობას;

2. **შესაბამის უწყებებს და ორგანიზაციებს:**

იუსტიციის სამინისტრომ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა, სახელმწიფო დაცვის სპეციალურმა სამსახურმა, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა,

სახალხო დამცველის აპარატმა, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ, სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის განვითარების ცენტრმა, მიიღონ მონაწილეობა ზემოხსენებულ სამუშაო ჯგუფში, რომელმაც საკანონმდებლო წინადადების შემუშავება დაასრულოს მიმდინარე წლის ბოლომდე.